საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

13 დეკემბერი 2021 წელი

სხდომას უძღვებოდა: იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხეიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს აპარატის იურისტი-გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 9 წევრი.
კვორუმი: 5 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-2821336124 წერილი,2021.02.12 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე;

კენჭისყრის შედეგები:მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , განმარტა ,რომ დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზია ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირებისათვის შრომის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება.

რაც შეეხება დადგენილების პროექტის მიზანს, ის შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითად პრინციპებთან, რომელიც უნდა განხორციელდეს მომდევნო წლის 01 იანვრიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ფინანსთა სამინისტროს დაფინანსებით. აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი დაფინანსება განსაზღვრულია 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში.

აზრი გამოთქვეს: დავით ცხადაძემ,ჯემალი ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე მხარდასაჭერად;

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, განმარტა,რომ აღნიშნული ცვლილება გამოიწვია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივ თვითმმართველობის“კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ, რის გამოც საკრებულოს თანამდებობის პირებს დაემატა მოადგილეების რაოდენობა, ასევე განისაზღვრა ფრაქციაში მოადგილეების არჩევის პრინციპი. შტატების დამატების გამო აღნიშნულ დადგენილებაში განხორციელდა ცლილება.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე მხარდასაჭერად;

3. **მოისმინეს:** მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დატკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს მომდევნო წლის 01 იანვრიდან.

აზრი გამოთქვეს: კობა კაცაძემ, ჯემალი ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე მხარდასაჭერად;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: